ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ᲓᲖᲖᲧ-11 24 06 2011წ.

დადგენილება №000820
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

24.06.2011წ. **ქ.თბილისი, შარტავას 7**

მე, სამსახურის უფროსმა ზვიად კერვალიშვილმა განვიხილე 2011 წლის 18 აპრილის №000820 მითითება და 2011 წლის 02 მაისის №000820 შემოწმების აქტი შედგენილი მოქ. თამაზ გაბისონიას (მის.: ქ. თბილისი, საირმის გორა ნაკვ.№89, №92,№96) მიმართ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის "ა" პუნქტის „ა.ბ" ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, საირმის გორა ნაკვ.№89, №92, №96-ში, მოქ. თამაზ გაბისონიას მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 25.09.2007წ. №03/1028 პრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ, –5.60 ნიშნულზე "9-5" მონაკვეთში ბეტონის კედელი გადაწეულია წინ (ქუჩის მხარეს) დაახლოებით ერთი მეტრით, რითაც გაზრდილია ავტოსადგომის ფართი დაახლოებით 20 მ²-ით. –3.00 ნიშნულზე "9-5" მონაკვეთში ასევე გაზრდილია ფართი დაახლოებით 16 მ²-ით. "9-8" მონაკვეთში გაუქმებულია კარი.

სამსახურის სპეციალისტის მიერ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2011 წლის 18 აპრილს შედგენილი იქნა მითითება №000820 (მხარეს ჩაბარდა ობიექტზე განთავსებით 2011 წლის 20 აპრილს), რომლითაც განესაზღვრა 10 (ათი) კალენდარული დღიანი ვადა ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2011 წლის 02 მაისს "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000820 (მხარეს ჩაბარდა ობიექტზე განთავსებით 2011 წლის 03 მაისს), რომელშიც დაფიქსირდა მოქ. თამაზ გაბისონიას მიერ მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

დადგინდა განაკვეთი ობიექტის ფასად

29.06.2011 წ.

2011 წლის 23 მაისს და 01 ივნისს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გამართულ საქმის განხილვებზე მოქ. თამაზ გაბისონია (პირადი №631873632) არ გამოცხადდა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ცნობილი იყო სამართალდამრღვევი პირისათვის.

საქმეშია ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის წერილი (№08-16/6256 21.06.2011წ), რომლითაც დგინდება, რომ ქ. თბილისში, საირმის გორა ნაკვ.№89, №92, №96-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი ობიექტის მშენებლობა მიეკუთვნება III კლასს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოქ. თამაზ გაბისონიას მიერ ჩადენილია "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-მუხლის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, საირმის გორა ნაკვ.№89, №92, №96-ში, მოქ. თამაზ გაბისონიას მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 25.09.2007წ. №03/1028 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ, –5.60 ნიშნულზე "9-5" მონაკვეთში ბეტონის კედელი გადაწეულია წინ (ქუჩის მხარეს) დაახლოებით ერთი მეტრით, რითაც გაზრდილია ავტოსადგომის ფართი დაახლოებით 20 მ^2-ით, –3.00 ნიშნულზე "9-5" მონაკვეთში ასევე გაზრდილია ფართი დაახლოებით 16 მ^2-ით. "9-8" მონაკვეთში გაუქმებულია კარი.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის მე-14 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-17 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-18 პუნქტით, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტითა და 23-ე მუხლის "ა" პუნქტის "ა.ბ" ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. მოქ. თამაზ გაბისონია დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2 მოქ. თამაზ გაბისონიას დაევალოს, "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: მიმღების დასახელება – ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; **მიმღების ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – TRESGE22; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი – 300773263; გადახდის დანიშნულება – დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის შესახებ.**

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, მოქ. თამაზ გაბისონიას დაევალოს შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო

"ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით "დაკისრებულის ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში) დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი **ზ. კერვალიშვილი**

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, ვალერიან ვარდანია (პ/ნ 62006010822), თანახმა ვარ რომ ქ. თბილისში საირმის გორაზე ჩემს მიერ დაპროექტებული საცხოვრებელი სახლის პროექტის კორექტირების მიზნით ი.ბ.ა. "ლუჩო"-მ აიყვანოს სხვა არქიტექტორი თავის შეხედულებისამებრ.

აღნიშნულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

ხელმოწერა _____

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160897136
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.08.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ანჟელა მანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	65433676585316

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორიათას თექვსმეტი წლის თორმეტ აგვისტოს მე, ანჟელა მანიას, ნოტარიუს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: *ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია,* მომმართა ვალერიან ვარდანიამ მან წარმომიდგინა **თანხმობა (ერთი ეგზემპლიარი)** და განაცხადა, რომ სურს მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ვალერიან ვარდანიამ (დაბ. 05.12.1977 წ. სოხუმში, პ/ნ 62006010822 პირადი განცხ. მცხ. მისამართზე: თბილისი, გორგასლის ქ. №51-53, ბ.12) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მას განვუმარტე, რომ აღნიშნული **თანხმობის** შინაარსზე, მასში მოყვანილ ფაქტებზე და სამართლებრივ შედეგებზე მე, ნოტარიუსი ანჟელა მანია, არ ვიღებ პასუხისმგებლობას და ვამოწმებ მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობას მასზე. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, განვუმარტე **თანხმობაზე** ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან განაცხადა, რომ **თანხმობა** ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2 (ორი) ლარი – მუხლი 31, დღგ 0.36 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ"

ნოტარიუსი ანჟელა მანია